

# ქართული ჯარი

ერთი გუნდით, ერთი სტრატეგიით, სავროთო მიზნისკენ - ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოებისთვის



*30 აპრილი -  
შვიდწილობრივი ძალოების დღე*

**ლევან იზორია : „ღღას საქართველო ნამოს  
სგანდარგებს სრულად აკმაყოფილებს“**



**გვ.2** ➤

**ქართული ჯარის  
27 წლიანი გრანდუოგრაფია**



**გვ.4** ➤

**გაიხანი რვენი ქვეყნის ჯარისკაცი**




**გვ.8** ➤

**უსიქლოგოიური მხარდაჭერის  
პროგრამა ჯარისკაცებისთვის**



**გვ.7** ➤

**დავემსხვრიოთ ვითაგი - ნუ გავსდებით  
პროპაგანდის მსხვერპლი!**



**გვ.9** ➤



# ყველა ის ნაკრებება, რომელსაც ქვეყანამ წლები განმავლობაში მიღწია, თითოეული ჯარისკაცის აღიარება-ლევან იზორია



საპარტოვალს თავდაცვის სამინისტრო

- ბატონო მინისტრო, საქართველოს შეიარაღებული ძალები არსებობს 27 წელს ითვლის. რამდენად წარმატებული იყო ამ პერიოდში შეიარაღებული ძალების ტრანსფორმაცია და შეგვიძლია თუ არა თამამად განვაცხადოთ, რომ საქართველოს უკვე ჰყავს თანამედროვე, ნატოს სტანდარტების შეიარაღებული ძალები, რომელსაც შეუძლია დაკისრებულ ამოცანებს წარმატებით გაართვას თავი?

27 წლის განმავლობაში ჩვენ ძალიან მნიშვნელოვან პროცესებთან და მოვლენებთან გვქონდა საქმე. ეს, პირველ რიგში, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლასა და მნიშვნელოვანი სერთაშორისო მისიების შესრულებას უკავშირდება. მინდა ვთქვა, რომ ამ საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულებას ჩვენი გმირი სამხედროები, პატრიოტი ქართველები შეეწირნენ. ჩვენი სიძლიერე სწორედ მათ მოგონებაში, მათი სახელების უკდავყოფაშია. ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, იქნება ეს ზოგადად ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა თუ თავდაცვის უწყების ტრანსფორმირება, იმ მთავარ მიზანს უკავშირდება, რასაც ისინი შეეწირნენ - ჩვენი ქვეყნის სიძლიერეს, ტერიტორიულ მთლიანობასა და ძლიერ თავდაცვისუნარიანობას.

ჩვენმა ქვეყანამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა, განსაკუთრებით თავდაცვის სფეროში. ჩვენ ყოველ წელს ვუახლოვებით ნატოს სტანდარტებს და შეიძლება თამამად ითქვას, რომ დღეს საქართველო ნატოს სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს. ეს არ რის მხოლოდ ჩვენი შეფასება, ამას, პირველ რიგში, ნატო აღიარებს. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა საჯაროდ, ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს პროგრესი. საერთაშორისო მისიების ფარგლებში, სხვადასხვა გენერლებსგან მე მრავალჯერ მოვისმინე შეფასება, რომ ქართველები, საპასუხისმგებლო ფუნქციების შესრულების თვალსაზრისით, სანდო

პარტნიორები არიან და განსაკუთრებული პროფესიონალიზმით, სიმამაცითა და თავდადებით გამოირჩევიან. მსოფლიოს მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში მონაწილეობას ჩვენ უფრო გლობალურად ვაგრძელებთ. ჩვენი აქტიურობა საერთაშორისო მისიების ფარგლებში ნატოსთვის სამაგალითოა, რადგან სამშვიდობო მისიებში საქართველო, ჯარისკაცების რაოდენობით, ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე დიდი კონტრიბუტორი ქვეყანაა. მთელი ამ წლების განმავლობაში თავდაცვის სისტემა ინსტიტუციურად ვაღიბდებოდა და დღესაც ამტკიცებს ამ ინსტიტუტებს, რათა ნატოსთვის საქართველო არამხოლოდ სანდო პარტნიორი და ასპირანტი ქვეყანა იყოს, არამედ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ღირსეული წევრი. ეს ამბიცია აქვს არა მხოლოდ ხელისუფლების გუნდს, არამედ მთელ მოსახლეობას. შეიძლება ითქვას, რომ როგორც პრაქტიკულ, ასევე პოლიტიკურ ჭრილში ჩვენი ქვეყანა და თავდაცვის უწყება მაქსიმალურად მზად არის, რომ გახდეს ნატოს წევრი ქვეყანა.

- საქართველოს შეიარაღებული ძალები ამ პერიოდში არაერთ მძიმე გამოწვევას გაუძლევედა, რომელმაც დიდი ადამიანური დანაკლისი გამოიწვია. რა როლი ჰქონდა ამ გამოწვევებს და მის შედეგებს შეიარაღებული ძალების გაძლიერებისთვის?

ჩვენ, ისტორიულად ყოველთვის ვებრძოდით გამოწვევებს, ტერიტორიების შენარჩუნებისთვის თავს ვწირავდით. გასული და ეს საუკუნე ძალიან მტკივნეულია ჩვენთვის, რადგან რუსეთის ფედერაციამ საქართველოს ტერიტორიების 20%-ის ოკუპირება მოახდინა. ეს ფაქტი, საერთაშორისო წესრიგის დარღვევის ნათელი მაგალითია. დღეს მთელი მსოფლიო აღშფოთებულია რუსეთის ქმედებებით, განსაკუთრებით ეს ყირიმის ანექსიის შემდეგ მოხდა. თუმცა ჩვენ, ქართველები ყოველთვის ვამბობდით, რომ იმ ქმედებების შემ-

დეგ, რაც რუსეთმა 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ განახორციელა, მსოფლიო მასთან უფრო მკვეთრი და მკაცრი უნდა ყოფილიყო. ჩვენ ყოველთვის ვიბრძოდით ჩვენი ქვეყნის ღირსების დასაცავად, ოკუპირებული ტერიტორიების მშვიდობიანი გზით დასაბრუნებლად და საერთაშორისო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით ამ ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის საქმეში ყოველთვის ვიქნებით მტკიცე. სტრატეგიული პარტნიორებისგან, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატებისგან, ევროპის ქვეყნებისგან, ევროკავშირისგან და ნატოსგან დიდი მხარდაჭერა გვაქვს, რათა ერთად და ერთიანი პოზიციით მივალწიოთ იმას, რასაც ჩვენი ბიჭები შეეწირნენ, ჩვენი ქვეყნის მთლიანობასა და განვითარებას. ასე რომ, ამას, პირველ რიგში, მორალური დატვირთვა აქვს, ასევე პოლიტიკური ვალდებულება პოლიტიკოსებისთვის - რაციონალურად და დაბალანსებულად ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ ნაკლები მსხვეპლით მივალწიოთ ყველა ქართველის საწადელ მიზანს, რაც, პირველ რიგში, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და ჩრდილოატლანტიკურ სივრცეში მეტ ინტეგრაციას უკავშირდება.

- მსოფლიოს წინაშე არსებულ საფრთხეებზე საპასუხოდ, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ცდილობს შეკავების პოლიტიკის გაძლიერებას. პიბრიდული გამოწვევების გათვალისწინებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ტოტალური თავდაცვის პრინციპი შეიმუშავა. რას ეფუძნება აღნიშნული პრინციპი და რა იგუბება ამ მიმართულებით უახლოეს მომავალში?

საფრთხეები, რომლებზეც ჩვენ ვსაუბრობთ და რომლის აღქმაც არა მხოლოდ ჩვენ მიერ, არამედ ჩვენი პარტნიორების მიერ ხდება, რუსეთის ქმედებებს უკავშირდება. ეს ქმედებები კი, საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და წესებს უხეშად არღვევს.

ჩვენ, პარტნიორ ქვეყნებთან ერთად, განსაკუთრებით ნატოსთან თანამშრომლობის ფორმატში, ვაფასებთ რა ამ საფრთხეებს, შევიმუშავებთ ერთიან პოლიტიკას, თუ როგორ უნდა მოხდეს საფრთხის პრევენცია და შეკავება, რათა მას რეალური განხორციელების პირობები არ ჰქონდეს. ამ მიზნით ევროპულმა ქვეყნებმა, ნატომ და აშშ-მა 2014 წლიდან, განსაკუთრებით ყირიმის ანექსიის შემდეგ, რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ თანამედროვე, განახლებული შეკავების პოლიტიკა შეიმუშავა. ყველაფერი რასაც თავდაცვის უწყებაში, წლისა და ათი თვის განმავლობაში ვაკეთებთ, აღნიშნული საფრთხის საერთო აღქმასა და მისი შეკავების თვალსაზრისით საერთო პოლიტიკის შემუშავებას უკავშირდება.

ნატო მაქსიმალურად ცდილობს დაარწმუნოს წევრი ქვეყნები, რომ თავდაცვის ბიუჯეტის საერთო მოცულობა მთლიანი შიდა პროდუქტის 2% იყოს, ხოლო ამ ბიუჯეტიდან 20% შეიარაღებაზე იყოს მიმართული. პირველი ნაბიჯი, რომელიც ჩვენ გადავდგით ოპტიმიზაციის მტკივნეულ პროცესს უკავშირდებოდა, მიზანი კი თავდაცვის ბიუჯეტის თავდაცვით ამოცანებზე ორიენტირებაა, როგორც ინფრასტრუქტურის, ისე შეიარაღების ნაწილში. მაშინ, როდესაც საქმიანობა დაიწყო, თავდაცვის ბიუჯეტის 67% სახელფასო უზრუნველყოფასა და სოციალურ თემებს ხმარდებოდა, ოპტიმიზაციის შემდეგ მხოლოდ 53 % მივმართეთ აღნიშნული მიმართულებით, რითაც ნატოს სტანდარტებს მივუახლოვდით. ამასთან, თავდაცვის ბიუჯეტისთვის, მთლიანი შიდა პროდუქტის 2% შევინარჩუნეთ. მეტიც და რაც ყველაზე მთავარია, ამ წლის ბიუჯეტში შეიარაღებისთვის 20%-ზე მეტია გათვალისწინებული. შეკავების პოლიტიკის მიმართულებით, დაახლოებით ორ კვირაში, ჩვენ ერთ-ერთ ყველაზე ამბიციურ პროგრამას ვიწყებთ: ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ერთ-ერთი ინიციატივის ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატებთან ერთად, წვრთნებისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში საბრძოლო მომზადების ცენტრი შეიქმნება. სწორედ ამ ცენტრის მშენებლობისკენ მივმართეთ ოპტიმიზაციის შედეგად დაზოგილი თანხები და სწორედ ამ ცენტრში სამი წლის განმავლობაში 9 ქვეითი ბატალიონი მომზადდება. უმნიშვნელოვანესია, რომ წვრთნები დაკავშირებული იქნება ქვეყნის ტერიტორიული თავდაცვის მიზნებთან. თუ ამ დრომდე, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, წვრთნებს ძირითადად საერთაშორისო მისიებში მონაწილეობის მიღების მიზნით გავდიოდით, დღეს უკვე ახალ სწავლებებს ვიწყებთ, რომელიც ადგილზე, ჩვენი სუვერენიტეტისა და ტერიტორიის დაცვაზეა ორიენტირებული. 9 ქვეითი ბატალიონი, ნატოს სტანდარტების შესაბამისი მსუბუქი შეიარაღებით აღიჭურვება, ისინი ამერიკელ ინსტრუქტორებთან ერთად სამი წლის განმავლობაში ინტენსიურ მომზადებას გაივლიან, რათა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა

**საპარტოვლოს თავდაცვის სამინისტრო**

უფრო გაძლიერდეს. ეს ყველაფერი კი, სწორედ, ქმედითი და ძლიერი შეკავების პოლიტიკის განხორციელების მიზნით კეთდება. პროგრამას, რომელსაც ვიწვევთ, სიმბოლურად „საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის“ პროგრამა ჰქვია. მზადყოფნაც შეკავების პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია.

ტოტალური თავდაცვა სამხედროსთან ერთად, სამოქალაქო თავდაცვის მზადყოფნასა და საინფორმაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფას მოიცავს. იმისთვის, რომ კრიზისულ ვითარებაში საფრთხეების გამკლავება შევძლოთ, კონკრეტული ნაბიჯები გადავდგით. მოვამზადეთ ეროვნული თავდაცვის გეგმა, რომელიც ომის შემთხვევაში, სხვადასხვა უწყებებისა და განსაკუთრებით თავდაცვის უწყებების მზადყოფნას ითვალისწინებს. ჩვენ შევიმუშავეთ ეროვნული თავდაცვის სტრატეგია. მთავრობამ უკვე შექმნა კომისია, რომელსაც ჩვენ ვუხელმძღვანელებთ, რათა სხვადასხვა უწყებების თანამონაწილეობით, ტოტალური თავდაცვის განხორციელება იყოს შესაძლებელი.

გვაქვს ამბიცია, წელს ყველაზე მასშტაბური „დიდორის სწავლებები“ ჩავატაროთ, სადაც უწყებათაშორის თანამშრომლობა მაქსიმალურად იქნება უზრუნველყოფილი. ამ მიმართულებით გადავდგით ყველაზე დიდი ნაბიჯი - შევიმუშავეთ წვევამდელთა განახლებული სისტემა, რათა ახალგაზრდა თაობა ქვეყნის თავდაცვის საქმეში იყოს ჩართული. საქართველოს თავდაცვის საქმეში საზოგადოების ფართო ჩართულობას უზრუნველყოფს რეზერვის ძალიან მნიშვნელოვანი, ახალი კონცეფცია, რომლის საპილოტე პროექტიც უახლოეს მომავალში ამოქმედდება. პატრიოტული სულისკვეთების ამადლებსა და პასუხისმგებლობის გაზიარების მიზნით, მოზარდ თაობასთან აქტიური თანამშრომლობა დაიწყო. პროექტის - „ჩვენი ჯარისკაცი“ ფარგლებში სამხედრო მოსამსახ-

ურები საქართველოს 150 სკოლას ესტუმრებიან და მოსწავლეებს თავიანთ ისტორიებს გააცნობენ, აუხსნიან რა გამოწვევების წინაშე ვდგავართ და რა რეზორმებს ვახორციელებთ.

ტოტალური თავდაცვის განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობა, წვევამდელთა სისტემის აღდგენა სწორედ ამ მიზანს ემსახურება. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ექნებათ გახეთი „ქართული ჯარი“ საკუთარ ენაზე წაიკითხონ, რადგან ჩვენ გახეთის აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე თარგმნასა და გავრცელებას ვგეგმავთ. ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ მათ მიიღონ მეტი ინფორმაცია და იგრძნონ, რომ ვაფასებთ. **ტოტალური თავდაცვის განხორციელების პროცესში ასევე უმნიშვნელოვანესია პოლიტიკური სპექტრის მაღალი ჩართულობა, არ აქვს მნიშვნელობა სახელისუფლებოა ეს სპექტრი, თუ ოპოზიციური. ეს არის საერთო სახალხო საქმე. ყველამ ვისაც სურს, რომ საქართველო იყოს ძლიერი, თავდაცვისუნარიანი და ჩვენი ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის კურსი გაძლიერდეს, ამ პროცესებში აქტიური მონაწილეობას უნდა მიიღოს.**

დროის უმოკლეს ვადებში, ჩვენ მართლაც მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით, რითაც კიდევ უფრო დაგუხავლოვით ნატოს სტანდარტებს. შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ნატოსთვის ერთ-ერთი სამაგალითო ქვეყნა გახდა და როგორც უკვე აღვნიშნე, ეს არ არის მხოლოდ ჩვენი აზრი. იმ ნდობის ფონდის ფარგლებში, რომელიც ნატომ სხვადასხვა პარტნიორი ქვეყნების დასახმარებლად შექმნა, ალიანსის სხვა პარტნიორებისთვის ჩვენ გვადიარეს, როგორც ერთ-ერთი სამაგალითო ქვეყნა, რომელიც შეკავების პოლიტიკის განხორციელების მიზნით კონკრეტულ და ქმედით ნაბიჯებს დგამს.

- **ბოლო პერიოდში საქართველო-ამერიკის ურთიერთობის დინამიკა თვალსაჩინოდ იზრდება. რა განაპირობებს ამ ტენდენციას და რა გეგმებია ამ მიმართულებით?**

დიახ, საქართველოს ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, თვისობრივად ახალ ეტაპზე გადავიდა. ამას ცხადყოფს მაღალი დონის პოლიტიკური ვიზიტებიც. ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა, საქართველოში სტუმრობისას გააკეთა ძალიან მკაფიო განცხადებები. მაიკ პენსმა აღნიშნა, რომ ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი ქვეყანა, ძალიანაა; რომ საქართველო-სა და აშშ-ს შორის არასდროს ყოფილა ისეთი ხარისხის სტრატეგიული ურთიერთობა, როგორც დღეს არის; რომ საქართველომ დემოკრატიული განვითარებისა და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების კუთხით მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. სიმბოლური იყო, რომ აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი საქართველოს სწორედ მაშინ ესტუმრა, როდესაც „Noble Partner“-ის სწავლებებს ვიწვევდით. ამ სწავლებების მზარდი დინამიკაც მოწმობს, რომ თავდაცვის სფეროში ამერიკის შეერთებულ შტატებთან გვაქვს დინამიური თანამშრომლობა. მხედველობაში მაქვს ცოცხალი ძალისა და სამხედრო ტექნიკის რაოდენობის ზრდა სწავლებების ფარგლებში. უნდა აღვნიშნო, რომ ეს დინამიკა სხვადასხვა კომპონენტით და მრავალფუნქციური ელემენტების ჩართვით გძლედა. მაგალითად, ვგეგმავთ, რომ მრავალფეროვანი სამხედრო სწავლება Agile Spirit-ის ფარგლებში საზღვაო კომპონენტით ჩავართოთ. ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი პროგრესი, რომელიც ისტორიულ მოვლენებს მოიცავს. პირველი ეს არის „ჯავვლინების“ სისტემა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებისგან შევიძინეთ. **თქვენთან ვაცხადებ პირველად, რომ ამერიკის თავდაცვის მდივნისგან, ჯეიმს მატი-**

სისგან 21 დეკემბერს მივიღე წერილი, სადაც მან აღნიშნა, რომ „ჯავვლინების“ მიღებით საქართველო გახდა განსაკუთრებულ ქვეყანათა კლუბის წევრი, რომლის მიმართაც ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს მაღალი ხარისხის ნდობა და ურთიერთობა.

მეორე - სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად ვიწვევთ ყველაზე ამბიციურ, საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამას და მესამე - მნიშვნელოვნად გაზრდილი საგარეო სამხედრო დაფინანსება. მხოლოდ 2017-2018 წლებში ამერიკამ ჩვენი ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სამხედრო ძალების დაფინანსების მიზნით, საგარეო სამხედრო დაფინანსების მეშვეობით, იმ თანხის სრული მოცულობის თითქმის ნახევარი გაიღო, რითაც ის საქართველოს წლების განმავლობაში, კერძოდ, 1997 წლიდან ეხმარებოდა.

2017 წლის ნოემბერში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, როდესაც პირადად შევხდი ამერიკის თავდაცვის მდივან ჯეიმს მატისს, ხაზი გავესვით ჩვენი თანამშრომლობის გაძლიერებას და აღვნიშნეთ, რომ მზარდი დინამიკა მყარ საფუძველს გვაძლევს, რათა საქართველო ამერიკისთვის უფრო ძლიერი საყდენი, პარტნიორი გახდეს.

ყველანაირი წინაპირობა არსებობს იმისთვის, რომ ჩვენ მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან, ამერიკასთან თანამშრომლობა მომავალ წელს კიდევ უფრო მზარდი და მძლავრი გახდეს.

- **პირველად საქართველოს შეიარაღებული ძალების ისტორიაში გამოჩნდა უახლესი ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღება „ჯავვლინი“, რომლის გადმოცემასაც საქართველო მრავალი წლის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდა. რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული პროექტი საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისთვის?**



„ჯავახიანების“ სისტემას 10 წლის განმავლობაში ვითხოვდით, მაგრამ გარკვეული მიზეზებით უარს გვეუბნებოდნენ. გასული წლის 29 მარტს წერილით მივმართეთ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას. აღიარა რა ამერიკის მთავრობამ ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები რეფორმების კუთხით და გვიცხადებენ რა ნდობას, კონგრესმა ხმათა უმრავლესობით დადებითი გადაწყვეტილება მიიღო. ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, რაც თავდაცვის უწყებაში განხორციელებული რეფორმების აღიარებაა. დღეს „ჯავახიანები“ საქართველოში უსაფრთხო ადგილზე არის შენახული. ეს პროცესი, ბუნებრივია, შეკავების პოლიტიკას უკავშირდება. მნიშვნელოვანია, რომ გეგმავდეს ისეთი შეიარაღება, რომელიც საფრთხეების შეკავების რეალურ ბერკეტს მოგვცემს. ჩვენ მოდერნიზებას სხვა მიმართულებითაც ვგეგმავთ, რაც ანტისაჰაერო სისტემას უკავშირდება. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ საფრანგეთთან აღნიშნული პროექტის განხორციელების პირველ ფაზას წელს ვასრულებთ და მეორე ფაზის გაგრძელების მზადყოფნას გამოვთქვამთ.

**- თავდაცვის სამინისტროს და პირადად თქვენი, არაერთხის განცხადების მიხედვით, უწყების უპირველესი პრიორიტეტი ჯარისკაცია. რა რეფორმები გატარდა და იგეგმება სამხედროთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით?**

ჩვენი მთავარი საზრუნავი თითოეული ჯარისკაცია. მან უნდა იგრძნოს, რომ სახელმწიფო ზრუნავს მასზე. ჯარისკაცს უნდა ჰქონდეს სათანადო პირობები, რათა ქვეყნის თავდაცვასთან დაკავშირებული ამოცანები განახორციელოს. ჩვენ განვახორციელეთ ცვლილებები, რომლის მიხედვითაც წვევამდებლები, რომლებიც სამხედრო სამსახურს იხდიან, მაქსიმალურად იყვნენ ინტეგრირებულნი. სამი თვის განმავლობაში ისინი ისეთივე სრულფასოვან საწყის საბრძოლო მომზადებას გაივლიან, როგორც კონტრაქტით მომსახურე სამხედროები გადიან. სამი თვის შემდეგ კი, პროფესიონალებთან ერთად, ისინი ერთობლივ წვრთნებსა და სწავლებებში ჩაერთვებიან. ჩვენ ვქმნით პირობებს რათა მათ ოჯახებთან მეტი კომუნიკაცია ჰქონდეთ. ასევე, გაიზარდა სახელფასო უზრუნველყოფაც, რაც შეეხება უშუალოდ პროფესიულ ჯარს, ჩვენ ამ მიმართულებითაც მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით. შემოვიღეთ სამეთაურო დანამატები და ოფიცრების შემადგენლობას, დაახლოებით 450 კაცს, როგორც გასულ წელს, ასევე წელს, ხელფასები გაუზარდეთ.

ჩვენ მოვახდინეთ მილიონობით ლარის მობილიზება, რათა ხელფასები გაუზარდოთ მათ, ვინც საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამას გაივლის. ის 9 ბატალიონი, რომელიც აღნიშნულ პროგრამაში ჩაერთვება, წელს გაზრდილ ხელფასს აიღებს. ბუნებრივია, ამ ტენდენციას ვაგრძელებთ, რათა სხვა სამხედრო მოსამსახურეებიც მოვიცვათ, მაგრამ ჩვენი შესაძლებლობის გათვალისწინებით, ეს პროცესი ეტაპობრივად განხორციელდება. ბოლო წელიწად-ნახევრის მანძილზე თავდაცვის უწყებამ 500-ზე მეტი ბინა გასცა იმ პირებს, რომლებსაც მიმართავს სახელმწიფოს ვალდებულება კონტრაქტით აქვს აღებული. ეს პროცესიც ბუნებრივად გაგრძელდება და აღნიშნულ ვალდებულებას შევასრულებთ. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ დაჭრილ სამხედროებს, მიძიდ დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეებს სახელფასო უზრუნველყოფა გაუზარდეთ და ყველაფერს ვაკეთებთ, რათა მათი მოტივაცია და სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობა მაღალი იყოს. დასავლეთ საქართველოში ერთგვარი გამოკითხვა ჩავატარეთ, რათა დაგვედგინა, თუ რა სჭირდება სამხედრო მოსამსახურეს და მის ოჯახს წევრებს ყველაზე მეტად. უმრავლესობამ სამედიცინო სერვისების უზრუნველყოფის სურვილი გამოთქვა. სწორედ ამიტომ, დასავლეთ საქართველოში, ქუთაისში, ახალ სამხედრო ჰოსპიტალს ვაშენებთ, სადაც სამედიცინო მომსახურება იქნება უზრუნველყოფილი. ასევე, გაგაუმჯობესეთ სადაზღვევო პაკეტი და დავაზღვიეთ მათი ჯანმრთელობაც, ვინც უწყებაში ხელშეკრულებით მუშაობს. წელს, ყაზარმებში სველი წერტილების კაპიტალურ რემონტს და ახალი სასადილოების მოწყობას ვიწყებთ. მთელი ეს ნაბიჯები ჯარისკაცის სო-

ციალური და სამუშაო პირობების გაუმჯობესებისკენ არის მიმართული, რათა თითოეულმა ჯარისკაცმა თავი ღირსეულად და დაფასებულად იგრძნოს.

**- როგორ ხედავს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია საქართველოს შეიარაღებულ ძალებს 5 წლის შემდეგ?**

პირველ რიგში, მინდა თითოეულ ჯარისკაცს მივულოცო საქართველოს შეიარაღებული ძალების დღე. მინდა, მადლიერება გამოვხატო შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსისა და მისი მოადგილეების მიმართ. სწორედ მათთან ერთად ვიდებთ ჩვენ სტრატეგიულ და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. ყველა ის წარმატება, რასაც ჩვენმა ქვეყანამ წლების განმავლობაში მიაღწია თითოეული ჯარისკაცის აღიარებაა. მათი როლი ქვეყნის თავდაცვის უზარაანობის გაძლიერების საქმეში უმნიშვნელოვანესია. მინდა, მადლობა ვუთხრა მათ, მთელი საქართველოს სახელით, თითოეულის მიმართ გამოვხატო დიდი პატივისცემა, მოკრძალება და სიყვარული. დარწმუნებული ვარ, რომ კვალიფიციური, პროფესიონალი და მამაცი სამხედროების შემადგენლობით ჩვენ უფრო მეტ წარმატებას მივაღწევთ. ეს არის ჩემი და მთელი საქართველოს გულწრფელი სურვილი. 5 წლის შემდეგ საქართველოში რეალურ შესაძლებლობას ვხედავ, რომ ვიყოთ სრულიად ახალ გარემოში, ნატოს წევრი ქვეყანა.

## ქართული ჯარის 27 წლიანი ბრანსფორმაცია

„ქართული ჯარის განვითარება - განათლებასთანაა დაკავშირებული“ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი გენერალ-მაიორ ვლადიმერ ჩაჩიბაია ქართული არმიის 27 წლიან გზას აფასებს. შეიარაღებული ძალები XX საუკუნის 90-იანი წლების კრიზისიდან - თანამედროვე შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებამდე, სამშვიდობო მისიები და საერთაშორისო გამოცდილება, წინსვლა და ახალი გამოწვევები და რეფორმები, რომლებმაც საქართველოს შეიარაღებულ ძალებს საბრძოლო პოტენციალი მნიშვნელოვნად უნდა გაუზარდოს

### ქართული ჯარის ჩამოყალიბების რთული 90-იანი წლები

1989 წლის ნოემბერში საბჭოთა ჯარში გამიწვიეს, ეს იყო საბჭოთა კავშირის სამხედრო საჰაერო ძალები. ტერიტორიულად თელავში ვიმყოფებოდით. ეს ზუსტად ის პერიოდი, როცა 1990 წელს შინაგანი ჯარის ბაზაზე ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბება იწყება. ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბებას თან სდევს თავდაცვის სამინისტროს შექმნა, რომლის უშუალო მოვალეობა ეროვნული არმიის ჩამოყალიბება და ამავდროულად, ეროვნული გვარდიისთვის მატერიალურ-ტექნიკური დახმარების აღმოჩენა იყო. ეროვნული გვარდია პრეზიდენტს დაექვემდებარა. ეროვნულ შეიარაღებულ ძალებს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში აქტიური ჩართვა შექმნის დღიდან მოუწია. ამავდროულად, იწყება შიდა პოლიტიკური განხეთქილება და გვარდიაც და ჯარიც შუაზე იყოფა. იწყება სამოქალაქო ომი.

ეროვნული შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა ძირითადად გულანთებული ახალგაზრდა მოქალაქეებით დაკომპლექტდა. ხშირ შემთხვევაში იყვნენ ადამიანები, რომლებსაც სამოქალაქო განათლება და





ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის დიდი სურვილი ჰქონდათ. მათ შორის ბევრს არ ჰქონდა სამხედრო განათლება და სათანადო გამოცდილება, მაგრამ ჰქონდათ დიდი მოტივაცია და შემართება - შეექმნათ საქართველოს შეიარაღებული ძალები.

ეს იყო დრო, როცა ქვეყანა ასიმეტრიულად ვითარდებოდა. მთელ პოლიტიკურ არენაზე ქაოსი და არეულობა იყო, რაც ჯარის განვითარებაზეც აისახა. ამ დროს რუსეთის ხელისუფლება ცდილობს კონფლიქტის ყველა მხარის შეიარაღება მაქსიმალურად უზრუნველყოს, რამაც ქვეყანაში კრიმინოგენული სიტუაციის გაუარესება განაპირობა. სამოქალაქო ომის პარალელურად, რუსეთის სპეცსამსახურების ხელშეწყობით სამაზბლოს რეგიონსა და აფხაზეთში კონფლიქტები დაიწყო. სწორედ ასეთ ვითარებაში ყალიბდებოდა ქართული შეიარაღებული ძალები.

**საქართველოს შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების პირველ წლებში გადაამწყვდები და გარდაამტეხი მნიშვნელობა იქონია 1993 წელს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის შექმნამ. სწორედ ამ წლიდან იწყება ოფიცერთა კორპუსის პირველი ჩამოყალიბებაც.** ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმ პერიოდისთვის ისეთი ოფიცერთა კორპუსის შექმნა, რომელსაც ათეულისა და ოცეულის დონეზე ელემენტარული ტაქტიკა ეცოდინებოდა. აკადემიის პარალელურად, 1993 წლიდან ოფიცერთა დაჩქარებული პროგრამა იწყება, რამაც სერჟანტებს 3-4 თვის განმავლობაში კვალიფიკაციის ამაღლებისა და ოფიცრის წოდების მიღების შესაძლებლობა მისცა. 90-იან წლებში ბიუჯეტი ძალზე დაბალი იყო. არავის ჰქონდა იმის ილუზია, რომ იმდროინდელი ბიუჯეტით საქართველოს შეიარაღებული ძალები გამართული იქნებოდა. თავად მახსოვს 90-იანი წლების ისეთი კრიზისული სიტუაციები, როდესაც შეიარაღებულ ძალებს რეაგირებისთვის მაქსიმუმ 500-600 აღჭურვილი სამხედრო მოსამსახურის გამოყვანა შეეძლო. კი, გვყავდა მაშინ ავიაცია, სახლგაო ფლოტიც, მაგრამ რამდენად უნარიანი იყო ეს შეიარაღება? - ეს ის კითხვაა, რომელზე გაცემული პასუხის შედეგები 2008 წელს ვიხილეთ. ცვლილებები ქართულ ჯარში 90-იანი წლების ბოლოსა და 2000-იანი წლებიდან დაიწყო. მიუხედავად ცვლილებებისა, საქართველოს შეიარაღებული ძალები კვლავაც ასიმეტრიულად ვითარდებოდა; მაღალ თანამდებობებს ხშირად არაკვალიფიციური პირები იკავებდნენ. ამ პერიოდში თავდაცვის სამინისტრო სამოქალაქო ინსტიტუციად ყალიბდებოდა, რაც ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი იყო.

**პარტნიორობა აშშ-სთან და ნატოსთან, ქართული ჯარის ახალი შესაძლებლობები**

ერთ-ერთი პირველი პროგრამა, რომელიც 90-იან წლებში დაიწყო, არის აშშ-ს საერთაშორისო სამხედრო წვრთნისა და განათლების პროგრამა (IMET). ამ პროგრამის ფარგლებში, შეიარაღებული ძალების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის აშშ-ის სამხედრო სასწავლებლებში გადამზადება ხორციელდებოდა. პროგრამა ოფიცრებისა და სერჟანტებისთვის,



როგორც მაღალი დონის, ისე საშუალო და საწყისი მომზადების კურსებს მოიცავდა. ახალმა შესაძლებლობამ ახალგაზრდა ოფიცრების სხვა პლატფორმაზე განვითარებასა და ჩამოყალიბებას განსაკუთრებული ბიძგი მისცა. ოფიცერთა პირადი შემადგენლობის ძირითად ნაწილს განათლება დასავლეთში ჰქონდა მიღებული. სხვადასხვა თანამდებობებზე IMET დამთავრებულ ოფიცრებს ხშირად ვხვდავდით. მათ შორის გახლდით მეც.

2001 წელს პანკისის ხეობაში გარკვეული დაჯგუფებები გამოჩნდა. ამერიკის მთავრობამ საქართველოს ხელისუფლების დახმარება გადამწყვიტა. დაიწყო ქართული ბატალიონების გადამზადება წვრთნისა და აღჭურვის პროგრამით (GTEP) ასევე, სტაბილურობის შენარჩუნების ოპერატიული პროგრამა (GSSOP), რომელმაც მოგვცა საფუძველი ქართული ბატალიონები საერთაშორისო ოპერაციებისთვის მოგვეზადებინა. ამას მოჰყვა მისია კოსოვოში, ერაყსა და ავღანეთში.

**განათლება და ნატო როგორც ქართული ჯარის ტრანსფორმაციის მიზანი**

ქართული ჯარისთვის თვისობრივი ცვლილება განათლებასთანაა დაკავშირებული. ეროვნული თავდაცვის აკადემიამ ოფიცერთა შემადგენლობის ინტენსიური მომზადება დაიწყო, რასაც ოფიცრის საკანდიდატო მომზადებისა და ოფიცრის საწყისი მომზადების კურსები მოჰყვა.

მე ამ სასწავლო პროგრამებზე ვმუშაობდი. 2001 წლიდან გერმანელების დახმარებით სერჟანტთა მომზადების ცენტრი ჩამოყალიბდა. პარალელურად იწყება GTEP-ის პროგრამა, აქტიურდება ნატოსთან თანამშრომლობაც, რამაც საშუალება მოგვცა საერთაშორისო სწავლებებში მიგველო მონაწილეობა. ქართულმა ჯარმა მოკლე პერიოდში დიდი გამოცდილება მიიღო.

თუ შევადარებთ დღევანდელ ვითარებას, დავინახავთ, რომ რადიკალურ

რად განსხვავებული სურათი გვაქვს. თუკი მანამდე ასიმეტრიულად ვითარდებოდა შეიარაღებული ძალები, დღეს ფაქტობრივად ყველა რეფორმა, რომელიც განხორციელდა ან მიმდინარეობს, პირველ რიგში, თავდაცვის ინსტიტუციურ განვითარებასა და ინსტიტუციურ ცვლილებებს ემსახურება. რომ არა თავდაცვის მინისტრის - ლევან იზორიას სწორი ხედვა და პრინციპულობა, სრულფასოვნად ვერცერთი რეფორმა განხორციელდებოდა. მაგალითად მოვიყვან ე.წ. პირამიდას, რომელიც უცხოეთში განათლებამიღებულ, წარმატებულ სამხედროებს კარიერული წინსვლის შესაძლებლობას არ აძლევდა. ოპტიმიზაციისა და რეორგანიზაციის შედეგად სწორედ ეს მიმართულება დაბალანსდა. ასევე, პირველად საქართველოს შეიარაღებული ძალების ინტორიაში, რეორგანიზაციის ფარგლებში გაიცა სოლიდური კომპენსაცია იმ ოფიცრებზე, რომლებმაც საკუთარი სურვილით დატოვეს შეიარაღებული ძალები.

**2008 წლის ომის გამოწვევები**

2008 წლის ომმა მხოლოდ ჯავშანტეკნიკის განვითარების კუთხით გამოიწვია შეფერხება, რადგან 2008 წლის შემდეგ საქართველოს მიმართ ე.წ. ჩუმი ემბარგო ჩამოყალიბდა. ჩვენ არ შეგვეძლო შეგვეძინა ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღება ან თანამედროვე ჯავშანტეკნიკა. ემბარგო წვრილ შეიარაღებაზეც კი ვრცელდებოდა. მიუხედავად ამისა, ინსტიტუციური განვითარება არ შეფერხებულა. ვითარდებოდა აკადემიაც და შეიარაღებული ძალებიც. რა თქმა უნდა, გარკვეული შეფერხებებით და ზოგ შემთხვევაში არასწორი პოლიტიკური გადაწყვეტილებებით, მაგრამ ინსტიტუცია მაინც ვითარდებოდა. 2008 წლიდან დღემდე არ განახლებულა ჯავშანტეკნიკა, არ მოდერნიზებულა 10 წლის განმავლობაში, რამაც დიდი დადი დასავა, როგორც მძიმე, ისე მსუბუქი შეიარაღების განვითარებას.

დასავლეთში ბევრი სკეპტიკოსი თვლიდა, რომ თუკი საქართველო შეიარაღებაში ახალ ტექნოლოგიებს

მიიღებდა, ეს მეზობელ სახელმწიფოსთან გაამწვავებდა ვითარებას. თუმცა, ბოლო პერიოდში საქართველოს თავდაცვის მინისტრის ლევან იზორიას მიერ განხორციელებულმა რეფორმებმა, პარტნიორ ქვეყნებთან კომუნიკაციის მაღალმა ხარისხმა და პრინციპულმა ნაბიჯებმა ჩვენი პარტნიორები დაარწმუნა ჩვენს შესაძლებლობებში, რაც საფუძველი გახდა ისეთი ისტორიული გადაწყვეტილების მიღებისა, როგორცაა აშშ-სგან ტანკსაწინააღმდეგო სისტემა „ჯაველინი“-ს გადმოცემა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ნაბიჯი მხოლოდ თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებას ემსახურება.

ტანკსაწინააღმდეგო სისტემა „ჯაველინი“-ს შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ისეთ შეფასებებთან არის დაკავშირებული, როგორებიცაა: „ქვეყანა ტრანსფორმირდა“, „თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებში განხორციელდა და მიმდინარეობს წარმატებული რეფორმები“, „რაციონალურად იხარჯება ბიუჯეტი“. ჩვენი რეფორმები, როგორც ნატომ, ისე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დადებითად შეაფასა. უფრო მეტიც, ბევრ ქვეყანას ჩვენი დასავლელი, ძირითადი პარტნიორები ჩვენთან ჩამოსვლას და ქართული მაგალითის გაზიარებას სთავაზობენ.

**ნატო-საქართველოს არსებითი პაპებით მიღებული ახალი შესაძლებლობები**

ნატო-საქართველოს არსებითი პაპები, თანამშრომლობის ახალი ეტაპია და ეს პროგრამა საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობების და ინსტიტუციების განვითარებას ემსახურება. განსაკუთრებული მიღწევაა ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის შექმნა. ერთობლივმა ცენტრმა 2016 წელს ნატო-საქართველოს პირველი პერიოდული სწავლება ჩაატარა და იმ დღიდან ყოველ მესამე წელს ჩატარდება. აღსანიშნავია, რომ სწავლება არ ჩატარებულა ნატოს წევრი ქვეყნების გარდა არც ერთ ქვეყანაში. საქართველოს მიმართ გამონაკლისი





# ფსიქოლოგიური მხარდაჭერის პროგრამა ქართველი ჯარისკაცებისთვის



„ქვეყნის სახეს დიდწილად ის ფაქტი განსაზღვრავს, თუ როგორ უვლის ის თავის ჯარისკაცებს, მას შემდეგ, რაც ბრძოლა დასრულდება. ამ კუთხით საქართველოს ძალიან სწორი და პროგრესული გეზი აქვს აღებული. საქართველო არაჩვეულებრივად ზრუნავს არა მხოლოდ ჯარისკაცებზე, არამედ მათი ოჯახის წევრებზეც. ჯარისკაცები იცავენ მშვიდობას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გლობალური მასშტაბით. მათი რეაბილიტაციის პროცესის სწორად წარმართვა მნიშვნელოვანი და აუცილებელია“ – ეს შეფასება საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ამერიკელი პოლკოვნიკისგან მას შემდეგ მიიღო, რაც ის დაჭრილი და დაშავებული ქართველი სამხედრო მოსამსახურეებისთვის ამოქმედებულ პროგრამებს დეტალურად გაეცნო.

საქართველოს ბოლო წლების განმავლობაში არაერთი ომის გადატანა მოუწია. გარდა ამისა, საქართველო არის ერთ-ერთი მთავარი კონტრიბუტორი საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში. სწორედ ამიტომ, შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებში პოსტტრავმატული სტრესის გამოვლინების აღბათობა დიდია. შესაბამისად, უწყების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება დაჭრილი და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებსა და მათ ოჯახის წევრებზე ზრუნვა, საჭირო სამედიცინო თუ ფსიქოლოგიური სერვისის გაწევა და იმ სირთულეების დაძლევაა, რაც მსგავს შემთხვევებში ჩნდება. ამ მხრივ უწყებისთვის უმნიშვნელოვანესია პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე ახალი ფსიქოლოგიური სერვისების, მეთოდოლოგიების შესწავლა და სწორი სამკურნალო-სარეაბილიტაციო მიდგომების ადგილზე დანერგვა, ასევე, ქართველი სპეციალისტების გადამზადება და ტრენინგები. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ქართული მხარე აქტიურად თანამშრომლობს ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

საქართველოს შეიარაღებული ძალების დაშავებული და დაჭრილი

სამხედრო მოსამსახურეებისთვის ახალი ფსიქოლოგიური მხარდაჭერის პროგრამა სწორედ პარტნიორი ამერიკული საქველმოქმედო ორგანიზაცია Give An Hour-ისა და Allied Forces Foundation-ის ხელშეწყობით ამოქმედდება.

საქველმოქმედო ორგანიზაცია Give An Hour კანადაში, აშშ-სა და გაერთიანებულ სამეფოში ოპერირებს. ორგანიზაციის საქმიანობაში 7 ათასამდე პროფესიონალი მოხალისე ფსიქოლოგია ჩართული. ისინი დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებსა და მათ ოჯახის წევრებს უფასო ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას უწევენ. Give An Hour-ის მთავარი მესიჯი და მიზანია, თოთუქლმა ადამიანმა გააცნობიეროს, რომ მენტალური ჯანმრთელობა ადამიანისთვის ზუსტად ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ფიზიკური.

Give An Hour-მა მოღვაწეობა 50-მდე პარტნიორთან ერთად დაიწყო და დღეს მათი რიცხვი 500-ს აღემატე-

ბა. საქველმოქმედო ორგანიზაციას მჭიდრო ურთიერთობა აქვს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს პრინც ჰარისთან, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს პროგრამას Change Direction.

სწორედ მსგავსი მოდელის დანერგვის მიზნით Give An Hour-ისა და Allied Forces Foundation-ის პრეზიდენტები დოქტორი ბარბარა ვან დალენი და სტიუარტ ტეილორი საქართველოს ეწვივნენ და თავდაცვის უწყებაში შეხვედრები გამართეს. მსოფლიოში ცნობილი ფსიქოლოგიური მხარდაჭერის საქველმოქმედო ფონდების პრეზიდენტები საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილეს ზაალ კაპანაძეს და გენერალური შტაბის უფროსის მოადგილეს, ბრიგადის გენერალ ზაზა ჩხაიძეს შეხვდნენ და უწყების სამედიცინო და სარეაბილიტა-

ციო ცენტრების შესაძლებლობებს გაეცნენ. ისინი გიორგი აბრამიშვილის სახელობის გორის სამხედრო ჰოსპიტალს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრსა და მარო მაყაშვილის სახელობის წეროვანის სარეაბილიტაციო ცენტრს ესტუმრნენ.

ქართული მხარისგან პარტნიორი ქვეყნის წარმომადგენლებმა დეტალური ინფორმაცია მიიღეს, თუ რა ტიპის ფსიქოლოგიური დახმარების მიღებაა შესაძლებელი ჯარისკაცებისთვის, დაშავებული და დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის. ასევე, რამდენად ხშირად მიმართავენ აღნიშნული სერვისის მიღების მოთხოვნით და რა რაოდენობისთვის არის შესაძლებელი ერთდროულად ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა. საქველმოქმედო ფონდების პრეზიდენტები მკურნალობის კურსის პროცესით და იმ მრავალპროფილური მიდგომებითაც დაინტერესდნენ, რომელიც თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეების ფსიქო რეაბილიტაციისა და ფიზიკური რეაბილიტაციის უზრუნველყოფის კუთხით აქვს. შეხვედრების შედეგად, სამომავლო თანამშრომლობის ფარგლებში, ქართველი ფსიქოლოგების, ექიმების გადამზადების, მათთვის კვალიფიკაციის ამაღლების კურსების დაგეგმვის და გაცვლითი პროგრამების განხორციელება დაიგეგმა. დოქტორი რენდი ფელფსი - „Give an Hour“-ის მთავარი ფსიქოლოგი: „საქართველოში პირველად ვიმყოფებით. შესანიშნავი ქვეყანა გაქვთ და შესანიშნავი ხალხი ცხოვრობს. ჩვენი ვიზიტის მიზანი ძალიან მნიშვნელოვანია. გავეცანით, თუ რა სახის რეაბილიტაცია და დახმარება შეიძლება გაეწიოთ დაშავებულ სამხედროებს და მათი ოჯახის წევრებს. ასევე მივიღეთ ინფორმაცია, თუ რა პროცესები მიდის და რა სახის ნაბიჯები იღებება ამ კუთხით. ვისაუბრეთ





სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე ვიმედოვნებ, ჩვენი ორგანიზაცია სამომავლოდ დაშვებული სამხედრო მოსამსახურეების ფონდთან დაიწყებს თანამშრომლობას“.

Give An Hour-ის პრეზიდენტის დოქტორ ბარბარა ვან დალენის თქმით, ფსიქოლოგიური სერვისის გაწევის პროცესში ყველაზე დიდი დაბრკოლება სამხედრო მოსამსახურეების და არამარტო მათი მხრიდან, პრობლემის აღიარებაა. ამერიკულ მხარეს მაგალითად 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი მოჰყავს, როდესაც დაზარალებულების 80%-მა ფსიქოლოგიური დახმარების მიღებაზე უარი განაცხადა. მათ პრობლემის აღიარების შერცხვათ, რის გამოც საბოლოოდ კიდევ უფრო სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. როგორც ირკვევა აღნიშნულ სტიგმას ებრძვიან ყველგან. სტიგმის რღვევაზე საუბრისას ერთ-ერთ საუკეთესო მეთოდად სპორტულ აქტივობებს ასახელებენ, მით უფრო დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებსა და მათ ოჯახებზე ზრუნვის პროცესში. პროფესიონალების თქმით, დაშავებული ჯარისკაცების სპორტულ აქტივობებში ჩართვით უსაფრთხო ზონა იქმნება,

სადაც ერთ გუნდად შეკვრას, ურთიერთნდობას, ერთმანეთის გამხსნევებს და, რაც მთავარია, პროცესში დაშვებული სამხედროების ოჯახის წევრების ჩართვას დიდი ძალა და საუკეთესო შედეგი აქვს. ქართულ რეალობაში ეს უკვე ფაქტია და ამის დასამტკიცებლად ბოლო მონაცემების გახსენებაც საკმარისია - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეები 26 მარტს ამერიკის შეერთებული შტატებიდან 20 მედლით დაბრუნდნენ, მათგან 6 - ოქრო, 6 - ვერცხლი და 8 - ბრინჯაო. 7 ქვეყნის 173 დაშავებული სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის ქართველებიც, საზღვაო ქვეითთა თამაშებში მონაწილეობდნენ, რომელიც, ჩრდილოეთ კაროლინას შტატის სამხედრო ბაზაზე გაიმართა. ქართველმა დაშავებულმა სამხედროებმა სპორტის 6 სახეობაში იასპარეზეს. ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და ასევე საინტერესო „კლიენტთა თამაშებში“ მონაწილეობა იყო, როდესაც ქართველმა სამხედროებმა მჯდომარე ფრენბურთში ოქროს მედლები მოიპოვეს. გამარჯვებულ ქართველ სამხედროებს მედლები პრინცმა ჰარიმ პირადად გადასცა.

სამხედროების სიძლიერეს მათი ოჯახების სიძლიერე განაპირობებს. საბრძოლო ვითარებასა და სამშვიდობო მისიაში მყოფ სამხედრო მოსამსახურეს უნდა ჰქონდეს განცდა, რომ მისი ოჯახი დაცულია. კვლევებმა აჩვენა, რომ ოჯახური პრობლემები, ასევე პრობლემები პირად ურთიერთობაში, სამხედრო მოსამსახურეთა საბრძოლო მზადყოფნას ამცირებს და ბრძოლის ველზე დაღუპვის საფრთხეს ზრდის. იმ შემთხვევაში თუ ოჯახი სათანადოდ იქნება მომზადებული პრობლემების დამოუკიდებლად დასაძლევად და მით უფრო, სპეციალურად მათთვის შექმნილი ოჯახების მზადყოფნის პროგრამის ფარგლებში მათ დახმარებას პროფესიონალი ფსიქოლოგები გაუწევენ, სამხედრო მოსამსახურეები სრულ კონცენტრირებას საბრძოლო ამოცანის შესრულებაზე მოახდენენ.

„ოჯახების მზადყოფნის პროგრამის“ დოკუმენტზე ხელი თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ლელა ჩიქოვანმა და აშშ-ის ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის სამხედრო მოსამსახურეების ოჯახების მხარდამჭერი სამსახურის ხელმძღვანელმა, ვიცე-პოლკოვნიკმა მაიკლ

ლიპერმა მიმდინარე წლის 22 თებერვალს მოაწერეს. პროგრამის მიზანია სამხედრო მისიაში მყოფი სამხედრო მოსამსახურის მოტივაციის გაზრდა; კონცენტრირება საბრძოლო დავალებზე; პროგრამის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას ჯარისკაცების ოჯახებზე ზრუნვა წარმოადგენს, ასევე მათ მხარდაჭერას კრიზისულ სიტუაციებში, ინფორმირებას მათთვის საჭირო საკითხებზე, ერთმანეთთან დაახლოების მიზნით ფიზიკური აქტივობების დაგეგმვას და ა.შ.

პროგრამის ფარგლებში უკვე გაიმართა სპორტული ღონისძიება - „მხიარული სტარტები“. მასში მონაწილეობა ავღანეთში, „მტკიცე მხარდაჭერის“ სამშვიდობო მისიაში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეების შვილებმა მიიღეს. 6-დან 16 წლამდე ასაკის ბავშვები, ერთმანეთს ექვს სხვადასხვა სპორტულ თამაშში შეეჯიბრნენ, რის შემდეგაც „მხიარულ სტარტებში“ მონაწილე ბავშვებს, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა სიგელეები, ბრენდირებული მაისურები, კეპები და სხვადასხვა საჩუქრები გადასცა.

## პირველი კლასის ჩიბითი გურამ ჩივახიძე: „ღვს ქვეყნის ინფორმაციულ უსაფრთხოებას ვიცავ“

„სასიხარულო ამბებიც მახსენდება ავღანეთიდან... ჩემი დაბადების დღე... პატრულირებიდან დაღლილი მოვედი, ვისვენებდი, ათმეთაურმა გამაღვიძა... ვიფიქრე, პატრულირებაზე მიწვევს გასვლა-თქო... კანფეტები მომიტანა, დაბადების დღეს გილოცავო... ძალიან გამიხარდა... ეს სიტუაცია გულში შევიწინა... ეს იყო 2013 წლის 13 იანვარი... 23 წლის გავხდი... 10 დღეში კი, 23 იანვარს, ხელნაკეთ ნაღმზე ავფეთქდი... აფეთქების დროც მახსოვს - სამს თხუთმეტი წუთი აკლდა...“, - იხსენებს ავღანეთის სამშვიდობო მისიაში ყოფნის პერიოდს პირველი კლასის რიგითი გურამ ჩივახიძე. ავღანეთზე საუბრისას, მისი თვალები ავღანეთის ცხელ მიწას, საბრძოლო საფრთხეებს, ჯარისკაცებისგან ტკბილეულით გამასპინძლებული ავღანელი ბავშვების სიხარულსა და სამხედრო ტრავმების ტკივილს ირეკლავს.

„ავღანეთზე ხშირად არ ვფიქრობ... ხანდახან მახსენდება, გონებით იქ არ ვარ ჩარჩენილი“, - ამბობს სამხედრო მოსამსახურე და ნაღმზე აფეთქების ფაქტს, სამხედრო ტრავმის მიღების, ასევე რეაბილიტაციის პერიოდს იხსენებს. რესპონდენტი კარგი მოსაუბრეა, ალბათ, ამიტომ გვაქვს განცდა, თითქოს, მასთან ერთად ჩავედით ავღანეთში, პულმანდის პროვინციაში და „შუკვანის“ ბაზაზე დავბინავდით. „შუკვანის“ სამხედრო ბაზიდან ქართველი სამხედროები პატრულირებას ახორციელებდნენ. ერთ-ერთი პატრულირებისას, ე.წ. პრობლემური სახლი უნდა შეემოწმებინათ. თავდაც არ იცის როგორ მოხვდა ზუსტად იმ ადგილას, სადაც ნაღმი მიწით იყო დაფარული. აფეთქებამ ჯარისკაცი დიდ მანძილზე მოისროლა, რის გამოც პატრულის ჯგუფის წევრები, დაახლოებით, 20 წუთის განმავ-



ლობაში ვერ პოულობდნენ. ბოლოს, ჯარისკაცს სამხედრო ნაწილის ასმეთაურმა და ათმეთაურმა მიაგნეს და პირველი სამედიცინო დახმარებაც გაუწიეს. „ერთი კვირის შემდეგ გერმანიაში მოვედი გონზე... თავიდან მეგონა, ისევ ავღანეთში ვიყავი, ან ტყვედ ჩავვარდი... გერმანიაში მკურნალობის კურსს გადიოდა ქართველი სამხედრო, რომელმაც ამიხსნა, რომ სამშვიდობოს ვიყავი... ნელ-ნელა ტრენაჟორებზე ვარჯიშიც დავიწყე და საკუთარ თავში მოგნახე ძალა, რეალურ ცხოვრებას დავბრუნებოდი“, - გვიყვება გურამ ჩივახიძე.

რეაბილიტაციის კურსი თითქმის წელიწად-ნახევარი გაგრძელდა, ჯერ

გორში, გიორგი აბრამიშვილის სახელობის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალში, შემდეგ ამერიკაში, ქვედა კიდურებზე პროთეზირების მიზნით. სარეაბილიტაციო პერიოდის შემდეგ, ჩვენი რესპონდენტი არჩევანის წინაშე დამდგარა - „ან კარჩაკეტილი, ან აქტიური ცხოვრება უნდა ამერჩია... დაგვლიე განსაცდელი, შეიარაღებულ ძალებს დაუბრუნდი. ჯერ გენერალურ შტაბში დავსაქმდი, ახლა კიბერუსაფრთხოების ბიუროში ვმუშაობ“. პირველი კლასის რიგითს გურამ ჩივახიძეს, სწორედ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კიბერუსაფრთხოების ბიუროში ვესტუმრეთ. ერთი ომიდან მეორე ომში აღმოჩნდი, გვეუბნე-

ბა დიმილით და საკუთარ საპასუხისმგებლო ფუნქციაზე გვესაუბრება - „ჯარისკაცებს ვაცნობთ რა პრობლემები, რა საფრთხეებია კიბერსივრცეში. ესეც იგივე ომია... დღეს ქვეყნის ინფორმაციულ უსაფრთხოებას ვიცავ, იმისთვის, რომ რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია, მტრის ხელში არ აღმოჩნდეს.

დაშავებული სამხედრო მოსამსახურე პარაკალატბურთშია ჩართული, ფეხით ძალიან ბევრს დადის. „ფეხით ბევრს დავდივარ, ამაში ე.წ. ჭკვიანი პროთეზები მეხმარება; მგონი, დაშავებამდე ამდენი არ მივლი“, - დიმილით გვეუბნება რესპონდენტი.


სამხედრო მოსამსახურე, სუსტი აღნაგობის გამო, ბავშვობაში ჯარისკაცის პროფესიაზე არ ფიქრობდა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გამიჩნდა ფორმის ჩაცმის სურვილი, გვიმხელს. საქართველოს შეიარაღებულ ძალებში შესვლა ბავშვობის ოთხ მეგობართან ერთად 2011 წელს გადაუწყვეტავს. გუგა ჩივახიძე საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) კურსის გავლის შემდეგ I კვეთი ბრიგადაში მსახურობდა.

სამხედრო მოსამსახურე წარმოშობით კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალადან არის. სკოლის დამთავრების შემდეგ სამოყვარულო ფეხბურთის თამაშობდა... პარაკალატბურთის ეტლით თამაშსაც ეგუებოდა... ფსიქოლოგიურად მხნედ არის, უმამო ოჯახის გაძლოლას, დის მკურნალობას თავს ღირსეულად ართმევს. შეიარაღებულ ძალებს საკუთარ ოჯახად მიიჩნევს, 23 იანვარს, თანამებრძოლებთან ერთად, „მეორედ დაბადებას“ აღნიშნავს. სიმბოლურია, რომ ეს სტატიაც 23 იანვარს დაიწერა... წერტილის დასამდე საათს ვაზუსტებ - სამს თხუთმეტი წუთი აკლია...





# დავასსპრიოთ პითეპი - ნუ გავსდებით პროპაგანდის მსხვერპლი!



21-ე საუკუნეში სახელმწიფოთა შორის კონფლიქტებისა და ომების სპეციფიკა მნიშვნელოვნად შეიცვალა. თანამედროვე ეპოქაში ერთი სახელმწიფოს მიერ მეორისთვის ომის გამოცხადება და მისი ღია დაპყრობა პრაქტიკულად უაზრო გახდა. ძირითად ამოცანად ნაკლები მსხვერპლის ფასად საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ზემოქმედებით მოწინააღმდეგეზე გავლენის მოპოვება იქცა.

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება, სრულიად სხვა ქვეყანაში, სხვა საზოგადოებაზე მათი განწყობების, სტერეოტიპებისა და ინტერესების ცოდნის საფუძველზე ეფექტური ზემოქმედების საშუალებას იძლევა. შესაბამისად საინფორმაციო ომი პიბრიდული ომის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, როცა სხვადასხვა ძალისმიერი თუ არაძალისმიერი საშუალებები საინფორმაციო ზემოქმედებისთვის გამოიყენება. მაგალითად, ტერორისტული აქტის მიზანი მოსახლეობაში შიშის დათესვა და დაშინებით მოწინააღმდეგისთვის სასურველი განწყობების ჩამოყალიბებაა. დეზინფორმაცია მოწინააღმდეგისათვის არასასურველი ღირებულების, ორგანიზაციის ან პიროვნების დისკრედიტაციას შეიძლება ისახავდეს მიზნად. თუ მოწინააღმდეგე საინფორმაციო ველში ვერ აღწევს მიზანს და ვერ ახერხებს სასურველი საინფორმაციო გარემოს ჩამოყალიბებას, პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება მისი ამოცანების წარმატებით შესრულება.

აქედან გამომდინარე, მტრული საინფორმაციო პოლიტიკის ძირითადი მიზანი მისთვის სასარგებლო საინფორმაციო გარემოს ჩამოყალიბებაა. მისი სამიზნე აუდიტორია კი სამიზნე ქვეყნის მოსახლეობის პოზიციაა. ამისთვის მას სჭირდება ისეთი მითების შექმნა რაც მოსახლეობას თავისივე სახელმწიფოს ნაციონალური ინტერესების საწინააღმდე-

გოდ განაწყობს და პარტნიორებს დააკარგვინებს.

საქართველოს ნაციონალური ინტერესი მისი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებაა, რადგან ამით ქვეყანა უსაფრთხოების ყველაზე ძლიერი სისტემის ნაწილი გახდება და დამკვიდრდება ის ღირებულებები, რაც ქვეყანას ადამიანის უფლებების დაცვის განმტკიცებასა და ეკონომიკურ კეთილდღეობას მოუტანს. შესაბამისად, ნატოსა და ევროკავშირის წინააღმდეგ საზოგადოების განწყობა მოწინააღმდეგისათვის უმნიშვნელოვანესია. ქართულ საინფორმაციო ველში ნატოს საწინააღმდეგო მითების დამკვიდრების მცდელობა ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა.

მოწინააღმდეგე აქტიურად ცდილობს ქართულ საზოგადოებაში გაავრცელოს მცდარი შეხედულება, რომ „ნატოში გაწევრიანება ვერ დაგვიცავს საფრთხისგან, გაწევრიანების პროცესი კი ზიანის მომტანია“, რაც მიზნად ისახავს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიმართ ნიჰილიზმის დათესვას.

ნატო მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სამხედრო ბლოკია. მასში გაწევრიანების ავტომატური შედეგი იქნება ის, რომ საქართველო გახდება კოლექტიური უსაფრთხოების ნაწილი და მასზე თავდასხმა განიხილება როგორც ალიანსზე თავდასხმა.

ნატოს წევრობაც კი, ღია აგრესიის განზრახვის სისრულეში მოყვანას უტოპიურს ხდის, შესაბამისად, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელშეკრულების მე-5 მუხლის (კოლექტიური თავდაცვის მიზნით სამხედრო ძალების გამოყენება) ამოქმედება დღის წესრიგში არ დგება. რაც შეეხება პიბრიდულ ომს, ნატოს ბოლო წლების ძალისხმევა მიმართულია პიბრიდული საფრთხეებისაგან მისი

წვერი სახელმწიფოების მაქსიმალურად დაცვისკენ, რასაც, სერიოზული გამოწვევების მიუხედავად, საკმაოდ წარმატებით ართმევს თავს.

დღეს საქართველო არ არის ნატოს წვერი ქვეყანა და შესაბამისად, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს საქართველოს დაცვის ვალდებულება არ აქვს. მიუხედავად ამისა, ნატოსთან თანამშრომლობის გადრმავება საქართველოს უფრო დაცულ ქვეყნად აქცევს. სწორედ საქართველოს ალიანსისკენ სწრაფვის შედეგია ნატოს უფრო მეტი ხილვადობა საქართველოში. იზრდება ალიანსის წვერი ქვეყნების სამხედროების რაოდენობა ერთობლივ წვრთნებში, რაც ქართველი სამხედროების პროფესიონალიზმის ამაღლებასა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაზრდას უწყობს ხელს. საქართველოს ნატოსთან დაახლოება უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს ნატოს ჩვენ წინაშე და უფრო მეტად უძნელებს ამოცანას მოწინააღმდეგეს. გაწევრიანების პროცესი, რაც ალიანსში ინტეგრაციისათვის მზადებას მოიცავს, უფრო მეტად უზრუნველყოფს ჩვენს უსაფრთხოებას. შესაბამისად ნატოსთან თანამშრომლობის გადრმავება პირდაპირპროპორციულად არის დაკავშირებული საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ზრდასთან.

მტრული პროპაგანდის მიერ გავრცელებული მითიც, რომ საერთაშორისო მისიებში ქართველი ჯარისკაცების მონაწილეობა „სხვის ომში ბრძოლაა“, ნატოსთან პარტნიორობის გადრმავების წინააღმდეგ არის მიმართული. მოწინააღმდეგის ამოცანაა, ძალიან სამწუხარო ადამიანური დანაკარგები, გამოიყენოს სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის დისკრედიტაციისათვის.

საქართველოს აქვს საკუთარი ინტერესები, რომელსაც ემსახურება მისი პოლიტიკა. საქართველოს ინტერესია,

რომ იყოს მსოფლიო სტაბილურობაში წვლილის შემტანი და არა მხოლოდ მომხმარებელი, რადგან ამ გზით ბევრად ეფექტურია საკუთარი ინტერესების დაცვა. ჩვენ ხელს ვუწყობთ მსოფლიო მშვიდობას და ამით ვიცავთ ჩვენი ქვეყნის სტაბილურ განვითარებას.

სამშვიდობო მისიებში საქართველოს მონაწილეობით უმჯობესდება ურთიერთთავსებადობის ხარისხი ნატოს წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან, რაც ქვეყნის ნატოში ინტეგრაციისთვის უმნიშვნელოვანესია. სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობით საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები იძენენ უნიკალურ საბრძოლო გამოცდილებას, რასაც ვერც ერთი წვრთნა ვერ შეცვლის, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას უწყობს ხელს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამშვიდობო მისიებში მონაწილეობა უმნიშვნელოვანესია საქართველოს ნაციონალური ინტერესებიდან გამომდინარე. შესაბამისად, სამშვიდობო მისია შეუძლებელია ნიშნავდეს სხვის ომში ბრძოლას.

„ნატოს წევრობა უცხო ქვეყნის ბაზების საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებას ნიშნავს“, -ეს შეფასება ალიანსთან საქართველოს ურთიერთობის გადრმავების წინააღმდეგ მიმართული, მტრული პროპაგანდის კიდევ ერთი მაგალითია.

საქართველოს ალიანსში გაწევრიანების ავტომატური შედეგი ვერ იქნება ნატოს წვერი სახელმწიფოს სამხედრო ბაზების განთავსება ქვეყნის ტერიტორიაზე, რადგან ალიანსის წვერი სახელმწიფოს სამხედროთა განთავსების გადაწყვეტილება ნატოს ბაზის ქვეშ შესაძლოა მიიღოს მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებამ ნატოსთან შეთანხმებით, რაც ნიშნავს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ყველა სახელმწიფოს თანხმობას.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი წვერ სახელმწიფოებს მაქსიმალურ დახმარებას აღმოუჩენს, როგორც კრიზისული ვითარების, ასევე საომარი მდგომარეობის დროს.

კრიზისულ ვითარებაში ნატოს წვერ სახელმწიფოს დახმარებას უწყევს ყველა მოკავშირე ქვეყანა, თავის შესაძლებლობის ფარგლებში, ამ სახელმწიფოსთან შეთანხმებით. რაც შეეხება საომარ მდგომარეობას, ამ შემთხვევაში კონტროლი ნატოს ხელში გადადის და ჩრდილოატლანტიკური ალიანსი აგრესიის ობიექტ ქვეყანას დაიცავს ყველა არსებული რესურსით.

მტრული პროპაგანდის განხილული შემთხვევები დიდი ჯაჭვის მხოლოდ მცირე ნაწილია, თუმცა ნათლად ადასტურებს მათ განზრახვას - ქართულ საზოგადოებაზე ზემოქმედებით, შეფერხდეს საქართველოს ნატოსთან დაახლოების პროცესი, მითების წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტური გზაა მეტი ვიცოდეთ მათ შესახებ. მტრული პროპაგანდისტული ნარატივებისა და მითების მეტი ცოდნა ნიშნავს არ გავხდეთ იარაღი მტრის ხელში!



# კადეტთა ლიცეუმი

რა არის კადეტთა ლიცეუმის მთავარი მიზანი, რით გამოირჩევა მისი საგანმანათლებლო პროგრამა, როგორია კადეტების დღის განრიგი და რა პერსპექტივა ეძლევა მას ლიცეუმის დამთავრების შემდეგ. ამ და სხვა მნიშვნელოვან კითხვებს კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დირექტორი პოლკოვნიკი შალვა ძინძიბაძე პასუხობს.



## 1. რა არის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მთავარი მიზანი?

ლიცეუმის მიზანია კადეტთა ინტელექტუალური, კულტურული, ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდა. ისინი სწორედ კადეტთა სამხედრო ლიცეუმში იძენენ პირველად სამხედრო ცოდნასა და უნარებს. ჩვენი მიზანია ახალგაზრდებს პატრიოტული სულისკვეთება ავუძღვლოთ და სამხედრო სამსახურისადმი სიყვარული გაუფლვილოთ. ლიცეუმში კადეტი სწავლობს დამოუკიდებელ ცხოვრებას, მან იცის დროის სწორად განაწილება, როგორ იპოვოს გამოსავალი ნებისმიერი პრობლემური სიტუაციიდან.

## 2. რით განსხვავდება კადეტთა ლიცეუმის სასწავლო პროგრამა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამისგან?

ზოგადად, კადეტთა სამხედრო ლიცეუმში თავისი სპეციფიკით განსხვავებულია საქართველოს სხვა საჯარო სკოლებისაგან და არამარტო საქართველოსი. ის ერთადერთი სამხედრო დაწესებულებაა ამიერკავკასიის რეგიონში სადაც, ვაჟებთან ერთად, გოგონებიც სწავლობენ. რა თქმა უნდა, სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი სასწავლო პროგრამაც განსხვავებულია. სწავლება ლიცეუმში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმისა და დამატებითი სამხედრო პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, ლიცეუმში ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა საგანი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გაძლიერებულად ისწავლება ინგლისური, მათემატიკა, ფიზიკა და

ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. აქ თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება ყველა საგნის შესწავლას. არ აქვს მნიშვნელობა ტექნიკური საგანი იქნება ეს, ჰუმანიტარული თუ საბუნებისმეტყველო. ვცდილობთ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება უფრო მეტად წავახალისოთ და საინტერესო გავხადოთ. ამ კუთხით ჩვენთან ნოვაციური სასწავლო პროგრამა-რობოტექნიკა დაინერგა, რაც კეთებით სწავლებას გულისხმობს. პროგრამის მეშვეობით კადეტები რობოტოტექნიკის, ელექტრონიკისა და პროგრამირებისთვის საჭირო ცოდნას მიიღებენ. გარდა ამისა, ჩვენთან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჯანსაღი ცხოვრების წესს, რასაც ხელს უწყობს ლიცეუმის თანამედროვე სტანდარტების მქონე სპორტ-კომპლექსი. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სპორტის გაკვეთილების გარდა აქ მიმდინარეობს სექციური მუშაობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში. კადეტების დღის განრიგში გაწერილია ფიზიკური მომზადების პერიოდი, როდესაც ისინი დატვირთულები არიან სხვადასხვა ფიზიკური აქტივობებით.

როცა სასწავლო პროგრამის განსხვავებაზე ვსაუბრობთ, უნდა აღვნიშნოთ მოსწავლეთა შეფასების სისტემაც, რომელიც განსხვავებულია სხვა სკოლებისაგან. ჩვენთან მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, თუმცა განსხვავებულია ბარიერი. კადეტმა თითოეული საგნის დასაძლევა უნდა მოიპოვოს შვიდი ქულა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ TOEFL, SAT-ისა და თურქული ენის სპეციალური მოსამზადებელი კურსები. ეს კურსე-

ბი კადეტს საშუალებას აძლევს ლიცეუმის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელოს ამერიკისა და თურქეთის სამხედრო აკადემიებში.

## 3. რას მოიცავს კადეტთა ლიცეუმის სამხედრო პროგრამა? რას სწავლობენ კადეტები ამ პროგრამით?

კადეტები ლიცეუმში გადიან საწყისი სამხედრო მომზადების პროგრამას, რომელიც მოიცავს როგორც თეორიულ ასევე, პრაქტიკულ კურსს. თეორიული კურსში შედის ისეთ თემები როგორცაა: სამწიგნობრო, ტოპოგრაფია-ნავიგაცია, ტაქტიკა, ლიდერობა, კავშირგაბმულობა, საინჟინრო, პირველადი სამედიცინო დახმარება, შეიარაღებული კონფლიქტების სამართალი, სამხედრო ისტორია. თეორიული ცოდნის ტრანსფერი ხდება როგორც სიმულაციის ცენტრში, ასევე სავლესწავლებლების დროს. კადეტები სასწავლო წლის დასრულების შემდეგ გადიან ორკვირიან სავლესწავლებლებს, სადაც მათ სხვადასხვა პრაქტიკულ დავალებებთან ერთად იარაღთან შეხება და სროლებიც უწევთ. საწყისი სამხედრო მომზადების კურსი კადეტებში სამხედრო სამსახურისადმი სულისკვეთებას ადვილებს და სამხედრო კარიერის არჩევის შემთხვევაში, უქმნის პლაცდარმს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ჩასაბარებლად.

## 4. როგორია კადეტის პერსპექტივა, რისი შესაძლებლობა ეძლევა მას ლიცეუმის დასრულების შემდეგ?

პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ლიცეუმში კადეტი ყალიბდება თავდაჯერებულ ლიდერად, იგი კონკურენტუნარიანია, როგორც სამხედრო

ასევე სამოქალაქო ასპარეზზე. პერსპექტივა საკმაოდ დიდი აქვს ნებისმიერ ჩვენს კადეტს. ისინი რეპეტიტორის დახმარების გარეშე ხდებიან უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები. მათ შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში და პქონდეთ გარანტირებული კარიერა. ჩვენ უკვე 16 კურსდამთავრებული გვყავს, რომლებმაც სწავლა გააგრძელეს ამერიკისა და თურქეთის სამხედრო აკადემიებში. არ არის აუცილებელი მოთხოვნა იმისა, რომ ლიცეუმის კურსდამთავრებულმა სწავლა გააგრძელოს უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში. ამ მხრივ, რაიმე შეზღუდვა დაწესებული არ არის. კურსდამთავრებულები თავისუფალი არიან არჩევანის წინაშე. ლიცეუმს არაერთი მაღლობა მიუღია სხვადასხვა უმაღლესი სამოქალაქო სასწავლებლისაგან წარმატებული თაობების აღზრდისათვის.

## 5. როგორია კადეტების დღის განრიგი?

ჩვენი დღის განრიგი გათვლილია დროის რაციონალურად გამოყენებაზე. აქცენტი კეთდება სასწავლო პროცესსა და თვითგანვითარებაზე. დღე იწყება 06:00 საათზე, პირადი ჰიგიენისა და დილის გამამხნეებელი ვარჯიშის შემდეგ კადეტები საუზმობენ და ცხრის ნახევრიდან იწყება სასწავლო პროცესი. ყოველდღიურად აქვთ შვიდი გაკვეთილი, რომლებიც ოთხის ნახევრამდე გრძელდება. მეხუთე და მეექვსე გაკვეთილებს შორის არის 80 წუთიანი შესვენება. დროის ეს მონაკვეთი განკუთვნილია სადილისა და დასვენებისთვის. საგაკვეთილო



პროცესის დასრულების შემდეგ იწყება თვითმომზადებისა და ფიზიკური მომზადების სავალდებულო ოთხსაათიანი პერიოდი. სადამოს კადეტებს აქვთ თავისუფალი ორი საათი, რომელიც შეხედულებისამებრ შეუძლიათ განკარგონ (სპორტდარბაზი, კლუბი, ინტერნეტ კაფე, რეკრეაციული ზონა). ათ საათზე ყველა კადეტი არის საცხოვრებელ ოთახში.

**6. როგორ იცავს კადეტთა ლიცეუმის ადმინისტრაცია კადეტთა უსაფრთხოებას?**

ლიცეუმში მოზარდსა და მის საჭიროებაზე პროფესიონალები ზრუნავენ. კადეტთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით სერჟანტ-ინსტრუქტორები უზრუნველყოფენ 24 საათიან ზედამხედველობას ნებისმიერი თავშეყრის ადგილას: საცხოვრებელში, კლასებში, სასადილოსა და რეკრეაციულ ზონებში; გვაქვს მაღალი დონის ტექნიკური უსაფრთხოების სისტემა-ტერიტორიასა და შენობა-ნაგებობებში არსებული ვიდეო კამერები, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა, ევაკუაციის გეგმა, გარდა ამისა, დირექციის ნებართვის გარეშე აკრძალულია ლიცეუმის ტერიტორიაზე უცხო პირთა შემოსვლა; მოქმედებს კადეტთა ქცევის კოდექსი, რომელიც კრძალავს კონფლიქტსა და ძალადობას, დაუშვებელია მოწვევა, ალკოჰოლის მიღება და ნარკოტიკის გამოყენება. ლიცეუმის ერთ-ერთი საზრუნავია კადეტთა და თანამშრომელთა ჯანმრთელობის უწყვეტი კონტროლი, ფუნქციონირებს ლაზარეთი, ასევე ფსიქოლოგიური სამსახური.

**7. როგორია კადეტთა ლიცეუმის ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა?**

ლიცეუმს აქვს თანამედროვე ინფრასტრუქტურა და მატერიალურ ტექნიკური-ბაზა: ადმინისტრაციული, სასწავლო და საცხოვრებელი კორპუსები, სასადილო, ლაზარეთი, ინტერნეტისა და ინფორმატიკის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, ლინგვაფონის ოთახი, უახლესი გერმანული ტექნოლოგიებით აღჭურვილი საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, სპორტული დარბაზები, დახურული და ღია სპორტული მოედნები. ამ ეტაპზე, ჩვენ ვმუშაობთ და სამომავლოდ გვგეგმავთ არსებული ბიბლიოთეკისა და ლაზარეთის გაფართოებას. კონკრეტულად, გვინდა, რომ შესაბამისი, თანამედროვე სტანდარტების მქონე ცალკე შენობა ავაგოთ. კადეტები ცხოვრობენ ახლად აშენებულ, თანამედროვე ტიპის, მაღალი დონის ტექნიკური აღჭურვი-

ლობის მქონე შენობაში. თითოეულ ოთახში ცხოვრობს 6 კადეტი. მათ მთელი ღამის განმავლობაში მეთვალყურეობას უწევს ინსტრუქტორი. რა თქმა უნდა, იზოლირებულია ერთმანეთისაგან გოგონებისა და ვაჟების საცხოვრებლები.

**8. როგორ რეგულირდება კადეტების ურთიერთობა მშობლებთან? როგორ ეგუებიან დისციპლინას?**

მშობლებს შეუძლიათ კადეტებთან შეხვედრა, ყოველდღე, შინაგანაწესით განსაზღვრულ საათებში. მათ ასევე ნებისმიერ დროს შეუძლიათ დაუკავშირდნენ სასწავლო კურსის უფროსსა და დამრიგებელს, მიიღონ ინფორმაცია თავიანთი შვილების შესახებ. კადეტებისთვის კი ხელმისაწვდომია ინტერნეტი, რაც საშუალებას აძლევთ ისარგებლონ ელექტრონული ფოსტით. ასევე, შეუძლიათ, აუცილებლობის შემთხვევაში, ითხოვონ მობილური ტელეფონით სარგებლობის ნებართვა.

დისციპლინის დაცვა ერთ-ერთი პრიორიტეტია, მისი დაცვა ერთნაირად მოეთხოვება როგორც კადეტს, ასევე ლიცეუმის ყველა თანამშრომელს. რა თქმა უნდა, თავდაპირველად ყველა თანაბრად ვერ ეგუება ლიცეუმში არსებული დღის განრიგსა და წესებს, თუმცა დაუძლეველი და მიუღწეველი არაფერია. ჩვენ გვაქვს საადაპტაციო პერიოდი, ახლად ჩარიცხული კადეტებისთვის ეს პერიოდი განისაზღვრება ორი კვირის ვადით.



კადეტთა ქცევა რეგულირდება შინაგანაწესითა და კადეტთა ქცევის კოდექსით. გვაქვს ქულათა სისტემა. ანუ კადეტს სასწავლო წლის დასაწყისში მიეცემა 100 საკრედიტო ქულა, რომელიც მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში მცირდება დადგენილი ოდენობით. თუკი სასწავლო წლის განმავლობაში რომელიმე კადეტის ასი ქულა განუღდება, ამ შემთხვევაში მას მოუწევს ლიცეუმის დატოვება. ეს სისტემა არის ერთ-ერთი ბერკეტი დისციპლინის დასაცავად.

**9. როგორია ლიცეუმში მოსწავლეთა მიღების წესი და რა საბუთები უნდა წარადგინოს მოსწავლემ?**

ლიცეუმში მიიღებიან მოსწავლეები, რომლებიც მიმდინარე წელს ასრულებენ ცხრა კლასს. მოსწავლე, რომელსაც სურს ლიცეუმში ჩაბარება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელთან ერთად უნდა გამოცხადდეს ლიცეუმში, წარმოადგინოს ვებგვერდზე (cadet.mod.gov.ge) მითითებული საბუთები და გაიაროს რეგისტრაცია. ასევე, მან უნდა გაიაროს მისაღები კონკურსი. ხასჯანსმით მინდა აღვნიშნო, რომ წელს მისაღები გამოცდების ფორმატში ცვლილება შევიდა. ჩასაბარებელი გამოცდების ჩამონათვალს დაემატა მათემატიკის გამოცდა. საბოლოოდ, მოსწავლემ ლიცეუმში ჩასარიცხად უნდა გაიაროს ფიზიკური, მათემატიკის და ზოგადი უნარების ტესტები. გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში

ჩასარიცხად შერჩეული მოსწავლე გაივლის სამედიცინო შემოწმებას, რომელიც ასევე წარმატებით უნდა გაიაროს.

წელს ლიცეუმის მისაღები გამოცდები ჩატარდება თბილისსა და ქუთაისში, საგამოცდო ცენტრის მიერ. რაც ასევე სიახლეს წარმოადგენს. რადგან ლიცეუმის მისაღები გამოცდებში მონაწილეობას საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოსწავლეები მიიღებენ, ვფიქრობთ, მათთვის უფრო ხელსაყრელი იქნება გამოცდების ორ ქალაქში ჩატარება.

**10. ფასიანია თუ არა კადეტთა სამხედრო ლიცეუმში სწავლა?**

ლიცეუმში სწავლება და ცხოვრება უფასოა. დაფინანსების მხრივ კადეტთა სამხედრო ლიცეუმს საჯარო სკოლებს შორის კონკურენტი არ ჰყავს. ყოველწლიურად საქართველოს თავდაცვის სამინისტრო თითოეულ კადეტზე 13 000 ლარს გამოყოფს. სრულად ანაზღაურებს მათი სწავლის ღირებულებას, უსასყიდლოდ უზრუნველყოფს საცხოვრებელი პირობებით, სასწავლო მასალებით, სასწავლო და საყოფაცხოვრებო, სამედიცინო მომსახურებითა და ჯანმრთელობის დაზღვევით, სამხედრო სპორტული ინვენტარითა და კვებით. საბოლოოდ მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ მუდმივად ვზრუნავთ და თავდაუზოგავად ვმუშაობთ, რათა ლიცეუმი ყოველთვის პასუხობდეს სწავლების თანამედროვე სტანდარტებს.





## ქართული სამხედროვი ავღანეთში დედა-ს მიერ დაფინანსებული პირობებით მიმდინარეობს

ქართველი მშვიდობისმყოფელების ავღანეთში გაცილების ცერემონია „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის შესასრულებლად გორში, I ქვეითი ბრიგადის ბაზაზე გაიმართა. I ქვეითი ბრიგადის მე-11 ბატალიონი და II ქვეითი ბრიგადის 21-ე ბატალიონის ნაკრები ასეული „დედას“ წარმოებული ჯავშანუძლებლობითა და ჩაფხუტებით აღიჭურვა.

გაცილების ღონისძიებას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ჩაჩიბაია და აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი საქართველოში ელიზაბეთ რუდი დაესწრნენ.

თავდაცვის მინისტრმა სამწვობრო მოედანზე შეკრებილ სამხედროებს და მათი ოჯახის წევრებს თავდადებისთვის მადლობა გადაუხადა და ქვეყნისთვის მისიის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. სამხედროებს სიტყვით აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ელიზაბეთ რუდიმაც მიმართა. ამერიკელმა დიპლომატმა ავღანეთის მისიაში ქართველი სამხედროების უდიდეს წვლილზე ისაუბრა და მათ სიმამაცისა და თავდადებისთვის მადლობა გადაუხადა.

გაცილების ცერემონიის დასასრულს დეკანოზმა დავითმა პირადი შემაღენლობა დალოცა და მშვიდობით დაბრუნება უსურვა.

გასულ წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ სამხედრო-სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დედასთვის“ შეკვეთილი 5 მილიონ ლარამდე ღირებულების საერთო-საჯარისო დანიშნულების ჯავშანუძლებლობისა და ჩაფხუტების დამზადებისა და მიწოდების პირველი ეტაპი წარმატებით შესრულდა. პროდუქციის ტექნიკური მონაცემები ნატოს ქვეყნებში მიღებული სტანდარტების შესაბამისია და საქართველოს შეიარაღებული ძალების მოთხოვნებს სრულად ერგება; ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს როგორც შეიარაღებული ძალების პირადი შემაღენლობის ინდივიდუალური დაცვის სისტემების უნიფიცირებას, ასევე მათ თანამედროვე, უმაღლეს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.

I ქვეითი ბრიგადის მე-11 ბატალიონი ავღანეთში მყოფ III ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონს ჩაანაცვლებს და ბაგრამის საავიაციო ბაზაზე, აშშ-ის სარდლობის დაქვემდებარებაში, „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიას შვიდი თვის განმავლობაში შეასრულებს. ქვედანაყოფის მთავარი ამოცანა ბაგრამის საავიაციო ბაზის უსაფრთხოების დაცვა იქნება. 21-ე ბატალიონის ნაკრები ასეული კი, მომავალი 7 თვის განმავლობაში ქაბულში, „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის მთავარ შტაბბინას დაიცავს. დანაყოფი რეინჯერთა ბატალიონის ნაკრებ ასეულს ჩაანაცვლებს.



## შვედეთის თავდაცვის მინისტრის ვიზიტი საქართველოში

შვედეთის სამეფო 2019 წელს „ნატო-საქართველოს სწავლებაში“ ჩაერთვება - ეს განცხადება შვედეთის სამეფოს თავდაცვის მინისტრმა საქართველოში პირველი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში გააკეთა. პიტერ ჰულტკვისტს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ უმასპინძლა. შვედეთის სამეფოს თავდაცვის მინისტრმა, სამხედრო ოსეთში განვითარებული მოვლენების გამო შეშფოთება გამოთქვა და არჩილ ტატუნაშვილის ოჯახს მიუსამძიძირა. შეხვედრაზე, მინისტრებმა, ყურადღება ტოტალური თავდაცვის სფეროში გამოცდილების გაზიარებასა და ორმხრივი თანამშრომლობის დინამიკის ინტენსიფიკაციაზე გაამახვილეს. საუბარი შეეხო ნატოს გაძლიერებული შესაძლებლობების ინიციატივის ფორმატში პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობასა და ინტენსიურ დისკუსიებს. ურთიერთთანამშრომლობის ფორმატის განხილვისას ლევან იზორიამ ხაზგასმით აღნიშნა ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში შვედი ექსპერტის ჩართულობა, რომელიც ქართველ კოლეგებს საკუთარ გამოცდილებას უზიარებს. მინისტრებმა განსაკუთრებული ყურადღება ერთობლივ სწავლებებში მონაწილეობის საკითხსაც დაუთმეს.

ვიზიტის ფარგლებში შვედეთის თავდაცვის მინისტრი ქართველ კოლეგასთან ერთად ვაზიანის სამხედრო ბაზაზე იმყოფებოდა. ორი ქვეყნის თავდაცვის მინისტრები ბრიგადის ოფიცრებსა და სერჟანტებს პირადად გაესაუბრნენ, გაწეული სამსახურისთვის მათ მადლობა გადაუხადეს და წარმატებები უსურვეს. საქართველოსა და შვედეთის თავდაცვის მინისტრებმა ორი ქვეყნის სტრატეგიულ ხედვაში არსებულ მსგავსებებზე გაამახვილეს ყურადღება და ამ მიმართულებით აქტიური თანამშრომლობის მზადყოფნა გამოთქვეს. ვიზიტის ფარგლებში შვედეთის სამეფოს თავდაცვის მინისტრმა თავდაცვის სამინისტროს არმიპოლში თემაზე „შვედეთის თავდაცვის პოლიტიკა და გამოწვევები ევროპულ უსაფრთხოებაში“ ლექცია წაიკითხა. ლექციას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია მოადგილეებთან, ლელა ჩიქოვანთან და გიორგი ბუთხუზთან ერთად დაესწრო. ლექციის დაწყებამდე შვედმა კოლეგამ ლევან იზორიას მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა, ორ ქვეყანას შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის მნიშვნელობა კიდევ ერთხელ აღნიშნა, საქართველოს თავდაცვის უწყებაში განხორციელებული რეფორმები დადებითად შეაფასა და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მიმართ მხარდაჭერა დაადასტურა. პიტერ ჰულტკვისტმა ყურადღება თანამედროვე ევროპის წინაშე მდგარ გამოწვევებზე გაამახვილა და რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემო მიმოიხილა. საუბარი შეეხო რუსეთის ფაქტორს, რუსულ პროპაგანდასა და რეგიონული მასშტაბით რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებს. საქართველოში ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში მყოფი შვედეთის თავდაცვის მინისტრი გამართა მოედანზე იმყოფებოდა.

პიტერ ჰულტკვისტმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული ქართველი გმირების ხსოვნას პატივი მიაგო და მემორიალი გვირგვინით შეამკო.

## ლეა ჩიქოვანა ნაგოს მისიასთან ჯგუფს უმასპინძლა

საქართველოში სამუშაო ვიზიტით ნატოს საერთაშორისო სამსახურის, საერთაშორისო სამხედრო სამსახურისა და მოკავშირეთა უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლები იმყოფებიან. ვიზიტის მიზანია ნატოსთან საქართველოს დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესის პარტნიორობის მიზნების (PARP PG) განხორციელების განხილვა და განახლება. ნატოს ექსპერტთა ჯგუფს საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ლელა ჩიქოვანი მასპინძლობს. ნატოს-ს შემფასებელთა ჯგუფმა წარმატებით შეაფასა დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესის პარტნიორობის მიზნების (PARP PG) სამუშაო ვერსია, ხაზი გაუსვა თავდაცვის ტრანსფორმაციის პროცესში მიღწეულ პროგრესს და საქართველოს შეიარაღებულ ძალებს საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადა. დოკუმენტით აღებული პარტნიორობის მიზნების შესრულება საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს შესაძლებლობების გაძლიერებასა და ნატოსთან თავსებადობის ამაღლებას უწყობს ხელს. დოკუმენტი ნატოს შტაბბინაში შესაბამისი პროცედურების გადის შემდეგ დამტკიცდება. ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრები ასევე გამართეს შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს, ფინანსთა სამინისტროს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან.

